# ივერია

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 70 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ ბებუთოვის ქუჩ., სახლი № 9, ბ-ნ ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1888 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877 1888



## „ივერია“

გამოვა 1888 წელსაც იმავე პროგრამითა, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი

ამ 1888 წლისათვის, მიჰმართოს:

**ტფილისში** ა) თვითონ რედაქციას (ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.), ბ) ლ. ბ. ხიდეკელის გაზეთის სააგენტოს (გოლოვინ. პროსპექტი, გიმნაზიის პირდაპირ), გ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (ასახლის ქუჩა, სახლი დ. სარაჯიშვილისა, ეზოშივე.)

**ქუთაისში:** ვარლამ ქილაძის წიგნის მაღაზიას.

**ხონში:** ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

**ბათუმში:** მ. ნათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.


ტფილისი, 23 თებერვალი

დღეს ევროპაში აქეთ მიიხედავ, თოფ-იარაღის ხმა ისმის, იქით მიიხედავ — აბჯრის ჩხარა-ჩხური. ყველგან რაღაც გაძლიერებული ფაცაფუცია, რაღაც მზადებაა და ერთი დავიდარაბა. ყოველს ერს ევროპისას, რომელსაც მარტო მშვიდობიანობა და მყუდროდ ყოფნა სწყურიან, ხვალინდელი დღე აშინებს, აკანკალებს. იმას აღარ ვიტყვით ეს ვაი-ვაგლახი, ეს შეთოფიარაღება, ეს მზადება რამოდენად უღირს თვითვეულს ერს ცალკე და ყველას ერთად. მიდის აუარებელი სარჩო-საბადებელი და ის გაუმაძღარი ვეშაპი ჰყლაპავს, რომელსაც სულად ტყვია - წამლის ბოლი ამოსდის პირიდამ, ხელებად თოფი და ხმალი აქვს, მუცლად უზარმაზარი ზარბაზანი და ნაყოფად ათი-ათასობით მკვდარი კაცი. სულ რისთვის? მარტო იმისთვის, რომ თ. ბისმარკს და სხვას ამისთანებს საბუთი ჰქონდეს სთქვას, რომ ღვთის მეტი ჩვენ არავინ შეგვაშინებსო. მოდით და ნუ იტყვით, რომ ამ დღის მნახველი და დამსწრე კაცობრიობა საცოდავი და შესაბრალისი არ არის-თქო.

ეს შეთოფ - იარაღებული მშვიდობიანობა, თავიდამ ფეხამდე საომარ აბჯარში ჩამჯდარი და საომრადვე დამკლავებული, თვით ომზე უარესია. ომი, რაც უნდა იყოს, ან ჰოა და ან არა. ესეთი მშვიდობიანობა-კი არც ერთია და არც მეორე და ამით არის ადამიანის სულისა და ხორცის შემჭმელი და დამლევი.

თავ-მოწონებული საუკუნე-კია ეს მეცხრამეტე საუკუნე!... ნუ თუ ეს დღევანდელი ყოფა ევროპიისა შეეფერება, ეშესაბამება ყოველს იმას, რაც კაცობრიობას შესძინა ამ საუკუნემ უკეთესთა და უდიდესთა კაცთა მეოხებითა, ღვაწლითა და თავ-დადებითა!... მეცნიერება და ხელოვნება, რომელნიც ღვთაებურს ნიჭს ადამიანისას იმისთვის გაუჩენია, რომ შეგვიურვონ და გვითხრან: მოდით, მაშვრალნო და ტვირთ-მძიმენო, და ჩვენ განგისვენოთ თქვენ, ნუ თუ ეს ღვთაებურნი მადლნი დღეს კაცობრიობას შემოსწყრომია? მაშ რა არის, რომ ერთიც და მეორეც დღეს მიწვეულნი არიან ადამიანის საყლეტად გარჯისათვის! დიაღ, ესენიც-კი ჰშველიან — კაცის ხარბს და გამგელებულს გულს იმისთანა იარაღი მისცენ ხელში, რომ ერთს წამს მთელი ლაშკარი, მთელი მხედრობა მოსთიბოს, როგორც ბალახის ღერო. არც მეცნიერება, არც ხელოვნება ამისთანა უკადრისს სამსახურს არა ჰთაკილობს და როდის? მეცხრამეტე საუკუნეში, იმ საუკუნეში, რომელსაც მართალის თავ-მოწონებით შეუძლიან დაიქადოს აქამდის უნახავი აღმატება ადამიანის გონებისა და მრავალ გვარი წარმატება.

ნუ თუ ეს აღმატება გონებისა, ეს მრავალ გვარი წარმატება, ასე ძვირად ნაშოვნი, ასეთის თავ-გაწირვით შეძინებული, უნდა მართლა მარტო იმას მოჰხმარდეს, რომ ერთმანერთი ვხოცოთ და ვჟლიტოთ? ჩვენდა საბედნიეროდ, ადამიანს ჯერ ქანცი აქამდე არ გასწყვეტია, აქამდე ჯერ ძირს არ დაუწევია და სულით და გულით არ გათახსირებულა. ქვეყანაზე კიდევ მოიპოვებიან იმისთანა დიდსულოვანნი კაცნი, რომელთაც ეს სამარცხვინო ყოფა ევროპიისა ამძიმებთ და რომელნიც ამის წინააღმდეგ ჰღაღადებენ და იღვწიან დაუძინებლად. ამათი ღვაწლი და ღაღადება ჯერ გაბნტი-გუნტად არის აქა-იქა, მაგრამ მერმისი-კი სრულს გამარჯვებას ამათ უქადის.

ყოველი ახალი მოძღვრება, ნამეტნავად დიდი, ადვილად და მალე არ დაიჭერს ხოლმე ცხოვრების მოედანზედ ადგილსა. რამოდენადაც მოძღვრება ახალია და დიდი, იმოდენად დიდი მანძილია მის დასაწყისიდამ მის განხორციელებამდე. სწორედ ამ კანონს ექვემდებარება იგი კაცთ-მოყვარული მოძღვრება, რომელიც დღეს ჰლამის კაცთაგან ომებით ერთმანერთის ჟლეტა და ხოცვა სრულად მოსპოს და აღგავოს დედამიწის ზურგიდამ. დღეს ტაატით დადის ეს მოძღვრება, მაგრამ დღე და დღე მომხრე ემატება და, მაშასადამე, ღონეც და მხნეობაც ეძლევა დაუღალავად სვლისათვის.

ამ უკანასკნელ დღეებში გაზეთებმა მოგვიტანეს ამბავი, რომ რომის პაპი ლეონ XIII მიჰმხრობია ამ მოძღვრებასა. ერთის გაზეთის კორრესპონდენტი რომიდამ იწერება, რომ პაპი აპირობს ორს მარტს სიტყვის თქმასა და ჰსურს გამოაცხადოს, რომ აუცილებლად საჭიროა შუა-კაცთა (третейскимъ судомъ) სამართლით ჰთავდებოდეს ყოველ გვარი ერთაშორისი სადაო საქმეებიო. თუ ეს მისი აზრი შეწყნარებულ და მიღებულ იქმნება სახელმწიფოთაგან, პაპს იმედი აქვს, რომ სახელმწიფონი მაშინვე აჰყრიან თავიანთ მხედრობას თოფ-იარაღს და ამით ყოველივე მოლოდინი განსაცდელისა ქვეყანას თავიდამ მოშორდებაო.

თუ ეს განზრახვა რომის მღვდელმთავრისა მართალია, პაპი ლეონ მე-XIII საუკუნოდ მადლობით სახსენებელი იქმნება კაცობრიობისაგან იმის-და მიუხედავად, გასჭრის თუ არა მისი განზრახული სიტყვა სახელმწიფოთა წინაშე. იმიტომ-რომ ზოგჯერ თქმაც საქმეა, ნამეტნავად იმისთანა გვამისაგან, რომელსაც აუარებელი ხალხი თაყვანის-ცემით და სასოებით უსმენს. პაპს დღეს მთელი კათოლიკენი მთელს ქვეყნიერობაზედ თავის დამრიგებლად, მწვრთნელად, გზის მაჩვენებლად და წინამძღვარად ჰხადიან და ამიტომაც მრავალთათვის მისი სიტყვაც საქმეა და როგორც თესლი ნაყოფის გამომღებია. რასაკვირველია, ძნელი დასაჯერებელია, რომ სახელმწიფოებმა დღესვე აასრულონ სურვილი პაპისა, მაგრამ მის მიერ მარტო თქმაც იმისთანა სახელოვანი ღვაწლია, რომელიც პაპის ლეონ XIII-ის სახელს დაამშვენებს ისტორიაში.

## ახალი ამბავი

*** კვირას, 21 თებერვალს, დასრულდა კრება სამღვდელოების წარმომადგენელთა და მღვდელნი დეპუტატნი გაეშურნენ თავ-თავიანთ სამრევლოებში, გაათავეს რა განხილვა ფრიად საყურადღებო საგნებისა.

*** გუშინ-წინ, 22 თებერვალს, დანიშნული კრება ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არ შესდგა, რადგან კანონიერი რიცხვი მათი არ შეგროვდა.

*** გუშინ რუსეთისა და საზღვარგარეთის ფოსტა არ მოსულა ტფილისში, ალბად იმის გამო, რომ გზაა ჩვეულებრივ გაფუჭებული გუდაურზედ.

*** გუშინ-წინ შემდეგი ავკაცობა ჩაიდინა ერთმა ვიღაც პატიოსნად ჩაცმულმა კაცმა ოლქის სასამართლოს წინ. ამ კაცს დაენახა, რომ ვიღაც სოფლელი კაცები, რომელნიც სოღანლოელ თათრებს უფრო ჰგვანდნენ, ხამებივით დადიოდნენ ბულვარზე. ეს კაცები სასამართლოს დაებარებინა. უცნობს კაცს ეთქვა: მაგ ხანჯლებით სასამართლოში არ შეგიშვებენ, მომეცით, აი ამ მაღაზიაში მივაბარებ და მერე, როცა გაათავებთ თქვენს საქმეს, ჩამოდით და გამოართვითო. სალახანა ავაზაკს გამოერთმია თათრებისათვის შევერცხლილი ხანჯლები და შეეტანა პოპოვის ჩაის მაღაზიაში და მიებარებინა. როცა ეღროვნა, რომ ეხლა ის თათრები სასამართლოში ისხდებიანო, შევიდა პოპოვის მაღაზიაში და მოსთხოვა თავისი ანაბარი. მაღაზიამაც, რასაკვირველია, არ დაუჭირა და ავაზაკი გაჰქრა კიდეცა. ჩამოვიდნენ საწყალი სოფლელები, ბევრი იცეს თავში, მაგრამ ველარ გაიგეს, ვინ იყო ის უღვთო, რომელმაც ისე ხელ-და-ხელ გააბრიყვა და გაცარცვა უბედურები.

*** წელს ტფილისში 18 სტამბაა. ამათში 8 სახელმწიფოა და დანარჩენი კერძო კაცების საკუთრებაა. ლიტოგრაფია 20. ამათში 12 სახელმწიფოა, 7 კერძო და 1 ტოპო-ლიტოგრაფიაა. 1870 წელს-კი იყო 3 კერძო სტამბა, 5 სახელმწიფო და ერთიც ლიტოგრაფია.

*** გუშინ-წინ, 22 თებერვალს, სატივოზე შემდეგი უბედურება მოხდა. ნაშუადღევს გამოჩნდა ტივი, რომელზედაც ჩვეულებრივად ორი მეტივე იყო და გაჩქარებით უსვამდნენ ოთაყვირებს, რათა ტივი ნაპირზე მოეგდოთ. დაინახეს მომავალი ტივი სატივოს მეტივეებმა თუ არა, მაშინვე გამოცვივდნენ საშველად. ზემდგომმა, ზაქარა ხუციშვილმა, გადმოუგდო მეტივეებს კოჭი, დაგრეხილი წნელი, რომელსაც მეტივეებმა სტაცეს ხელი და მოიზიდეს ნაპირისაკენ, მაგრამ ამ დროს გაწყდა წნელი და ტივი მიეცა ადიდებულს მტკვარს. უკანა მეტივე (ტივის პატრონი) გადმოხტა წყალში, წაავლო ხელი ნაწყვეტ ღვლერძს და უნდოდა იქვე მიბმულს ტივზე შემოეხვივნა, მაგრამ ველარ მოასწრო, მხოლოდ თავს უშველა და ნაპირზე გამოვიდა.

გაქანებულს ტივზე შერჩა მარტოკა ზაქარა ხუციშვილი, რომელიც მედგრად უსვამდა ოთაყვირებს. ამ გაცხარებულ მუშაობის დროს გაუსხლტა ფეხი და ისე ძლიერად დაეცა და დაჰკრა საფეთქელი, რომ ადგომა ველარ მოახერხა. შემდეგ გამოქანებული ტივი დაეჯახა ვერის ახალ ხიდის ბურჯს, ნაწილ-ნაწილად დაიშალა და ბეჩავი ხუციშვილიც შთანთქა ადელვებულმა მტკვრის ზვირთებმა. დამრჩვალი ხუციშვილი გამოიტანეს და საანატომიო კაბინეთში გაჰგზავნეს.

*** ახალ-არსენალის ქუჩა ერთი მიყრუებულ ქუჩათაგანია კუკიაში. ამიტომაც ეს ქუჩა შეიქმნა ბოროტგამზრახველების სარბიელად, მეტადრე ბნელ და ჟინჟღლიან ღამეებში. ამ ქუჩაზე ავაზაკობის მაგალითი ბევრია, მაგრამ მოვიხსენიებთ მხოლოდ ერთს, რომელმაც სწორედ გულსაკლავად იმოქმედა მნახველებზე. აი ის შემაძრწუნებელი ამბავიც. 22-ს თებერვალს, საღამოს რვა საათზე, არსენალის ქუჩიდგან მორბოდა ერთი ახალგაზდა რუსი, თან საზარლად ჰყვიროდა და საშველად იწვევდა ხალხსა. საცოდავი თითქმის სრულიად შიშველ-ტიტველი და თავ-პირ დასისხლიანებული იყო; ზედ ძალზედ დაგლეჯილი საცვალი-ღა ეცვა. იმისმა ყვირილმა დიდ-ძალი ხალხი შეჰყარა ქვემო ქუჩაში. საბრალომ უამბო, რომ კვირაცხოვლის ძირში რამდენიმე ჯარის-კაცი დამხვდაო; რაც შეეძლოთ, მცემეს და ყოველივე წამართვეს; ბოლოს როგორც იყო თოიძიანთ სახლებთან თავი დავაღწიეო. საბრალო სწორედ რომ საცოდავი სანახავი იყო, მით უფრო, რომ ნაავადმყოფარიც ყოფილიყო. ეს კაცი პოლიციაში წაიყვანეს.

*** გომბორიდგან გვწერენ: აქ გაუწყვეტლად თოვს, თოვლი თითქმის ერთს ადლამდეა. ამ ბოლოს დროს საშინელი ქარი ჰქრის და აყრის ნამქერებს. მოგზაურ „დილიჟანებს“ ძლიერ უჭირთ სიარული. მეტადრე სამს ადგილას, «პანტიანში» „ჯვარზე“ და „სამაყანოში“. მუშები სწმენდენ ნამქრებს, მაგრამ ცოტანი არიან და კარგი იქნებოდა, რომ კიდევ მიემატებინათ.

*** სამურზაყანო: თქვენი მტერი და დუშმანი ისე შეგიწუხოთ ღმერთმა, როგორც ჩვენ, სამურზაყანოელები შეწუხებულნი და შევიწროებულნი ვართ ქურდებისაგან. ისე დღე არ გავა, რომ დ. ოქუმში არ მოვიდეს სხვა-და-სხვა სამურზაყანოს სოფლებიდამ მომჩივანი, რომლისათვისაც ცხენი ან ძროხა გამოუყვანიათ ქურდებს სახლიდგან. ბარე ორიოდე ქურდს მიუტანეს კვალი დაიჭირეს და სამურზაყანოს უფროსს წარუდგინეს; უფროსმა, რასაკვირველია, გაჰგზავნა სადაც ჯერ არის. გვეგონა, აი, ღმერთო, ერთი ავაზაკი მაინც მოაკლდა სამურზაყანოსაო. ასე ვფიქრობდით ჩვენ, მაგრამ მეტმა ქირმა არ წაგვიღოთ. ჰხედავთ, რამდენისამე ხნის შემდეგ, ის ვაჟბატონი არხეინად ჩამოგვისეირნებთ გვერდით: თურმე ან სულ განთავისუფლებულა და ან თავდებობის ქვეშ გამოუშვიათ. განსაკუთრებით ქერივ-ობლები და მღვდელ-დიაკვნებია ჩვენს მხარეში დაჩაგრული ქურდებისაგან. ამ მოკლე დროში ოქუმის მღვდელს მოჰპარეს ერთი კარგი ცხენი და ერთიც ხარი. იმავე სამრევლოში მოსამსახურე დიაკვანსაც გამოაცალეს ხელიდგან ცხენი. ამას წინად ქურდები შეუცვივდნენ ერთს დედაბერს. სახლში მარტოდ-მარტო ყოფილა საწყალი და ერთი ცხენი ბმულა დედაბერის შვილისა, რომელიც

იმ ღამეს შინ არა ყოფილა. დედაბერმა შეიტყო ქურდების მისვლა, კიდეც იცნო ერთი ქურდთაგანი, მაგრამ ვერას გახდა და ქურდებმა წაიყვანეს მაინც ცხენი. ამ სენს თუ რაიმე წამალი არ დაედო, არ, ვიცით რა გვეშველება. ჯერ საქონელი სახლში გვყავს და თუ კი ახლა გვტაცებენ, რა ვქნათ გაზაფხულზედ, როცა საქონელი მინდვრად არის გაშვებული.

სამურზაყანოს უფროსი ძლიერ სასტიკად მოეპყრა პირველში ქურდებს და ის იყო შეამცირა კიდეც ქურდობა, მაგრამ საქმე როგორღაც ისე მოხდა, რომ ყველა ქურდები დააბრუნეს ქ. სოხუმიდგან. ის იყო და ის, მას აქეთ დაიწყეს ცოტ-ცოტა ქურდობა და ეხლა ლამის სულ მთლად აგვიკლონ. საქმე იქამდის მივიდა, რომ ერთ დროს ხმაც დაეგდოთ სოფლებში, ქურდობის ნება მოვიდაო.

სამურზაყანოს თითქმის ყველა სოფლებში ჰმართავენ და ზოგ ადგილას კიდეც გაჰმართეს საეკკლესიო-სამრევლო სკოლები.

⁂ 21 თებერვლის ღამეს სიღნაღის მცხოვრებელი, იაგორ ლაზარეს ძე ქრისტესოვი, სიმთვრალის დროს, თავის გაუფრთხილებლობით ჩაჰვარდა გაქანებულ ეტლის ქვეშ, ეტლის ხელნა მარჯვენა გვერდში მოჰხვდა და ამის გამო იქვე სული დალია. გამოძიება სწარმოებს.

⁂ 21 თებერვალს პოლიციის მე-10 ნაწილის ბოქაულმა ღამე დაიჭირა ვიღაც უცნობი კაცი, რომელიც ყალბის ქაღალდებით სცხოვრობდა თურმე. ეს კაცი აზნაურის ნიკოლოოზ სულიმოვსკის სახელს ირქმევდა. მაწანწალა გარდაეცა გამომძიებელს და შემდეგ ციხეში იქმნა დაპატიმრებული.

---

## ქართლ-კახეთის სამღვდელოების წარმომადგენელთა კრება.

19-ს თებერვალს თავ-მჯდომარემ გამოუცხადა კრებას ეგზარხოსის ბრძანება, რომ 1) «სემინარიის საპარალელო კლასებისათვის შენობის ასაგები ფულები ახლავე გამონახეთ საიდგანაც იყოსო, რომ ეგ ფულები (40,000 მან.) სამის წლის განმავლობაში უნდა შეიკრიბოსო»; 2) მუზეუმის ფულების გარდახდა (6,000 მან.) თქვენი ნებაა, მაგას ვერ დაგატანთ, მაგრამ კარგი იქნებოდა ამ ფულების გარდახდაში 2,000 მანათით შესწეოდით სიონის ტაძარსაო. კრება დაფიქრდა ამ გარემოებაზე. მეტი რა ღონე იყო, დასთანხმდა კრება და დაადგინა, რომ სანთლის ქარხანამ ეგ 42,000 მან. სამის წლის განმავლობაში შეავსოს რექტორის მიერ წლიურის ხარჯისაგან გადარჩენილ 3,000 მან. რაც ამას იქით გადარჩება და სწავლების ფასი რაც შემოვა სემინარიაში და სასულიერო სასწავლებლებიდამ, ყველა ეს ფულები სანთლის ქარხნის გამგეობამ უნდა მიიღოს და თავისით შეავსოს 42,000 მანათამდე.

ამის შემდეგ მღ. კარბელაშვილმა ითხოვა სიტყვა და დასხდომებით შემდეგი სთქვა: «მამაო თავ-მჯდომარევ! რადგან გუშინდელმა ჩემმა თქმულმა ამაოდ ჩაიარა და სემინარიის საპარალელო კლასებისათვის შენობის აგება ისევ ჩვენ გაწვება კისერზედ, ამისათვის ვსთხოვ კრებას ყურადღებით მოისმინოს ჩემი ეს მეორე წინადადება: ყველას კარგად მოგეხსენებათ, მამანო, რომ ჩვენი ქართლ-კახეთის სამღვდელოება გაყოფილნი ვართ სამ სასწავლებლო მაზრად; თვითოეულს მაზრას გვაქვს თითო სასულიერო სასწავლებელი: თელავში სიღნაღის და თიონეთის მაზრების სამღვდელოებას—თელავში, ტფილისის მაზრისას—ტფილისში, გორის მაზრისას—გორში. ამ სასწავლებლებში ჩვენ ერთმანერთს ვართმევთ სწავლების ფასს (за право учения), ე. ი. სიღნაღის, ან თელავის და თიონეთის მაზრის სამღვდელოს შვილი რომ ტფილისში სწავლობდეს, წელიწადში უნდა გადაიხადოს 5, ან 10 მან. სწავლების ფასი და სხვ. ამისათვის და რადგან სემინარიის საპარალელო კლასებისათვის შენობა საკუთრად ჩვენ გვედება კალად, რა უსამართლობა იქნება ჩვენის მხრივ—სწავლების ფასი ვახდევინოთ ჩვენს სემინარიაში ყველა მოსწავლეს, რომელიც-კი ქართლ-კახეთის სამღვდელოებას არ ეკუთვნის?! თუ კი სასულიერო სასწავლებლებში ჩვენ ერთმანერთს ვახდევინებთ სწავლების ფასს, რატომ არ უნდა ვახდევინებდეთ სწავლების ფასს კავკავის, იმერეთის, სამეგრელო-გურიის და აფხაზეთის ეპარქიების სამღვდელოთა შვილებს, რომელთ გამო სემინარიის შენობა ვეღარ იტევს დღევანდელ მოსწავლეთა რიცხვსა?! მე კარგად ვიცი, რომ სემინარიაში მოსწავლეთა შორის ნახევარზედ მეტი მოსწავლენი ჩვენის ეპარქიის გარეშენი არიან. მოვსთხოვოთ ეხლავე, რომ სემინარიის სამმართველომ გვაცნობოს შემდეგი: 1, რამდენი მოსწავლეა სემინარიაში არა ჩვენის ეპარქიისა; 2, რამდენი იხარჯება წელიწადში მთლად სემინარიის შენახვაზედ; და 3, ამ წლიურს ხარჯში რამდენი იხარჯება იმერეთის და გურია-სამეგრელოს ეპარქიების მხრივ. ეს ცნობები გაამართლებენ და დააჭეშმარიტებენ ჩემს ზემორე ნათქვამს.

კრებამ თქმული ერთ-ხმად მოიწონა და მაშინვე მოსთხოვა სემინარიის სამმართველოს აღნიშნული ცნობანი. ნახევარ საათის შემდეგ ეგ ცნობანი უკვე მოუვიდა კრებას და აღმოჩნდა, რომ: 1, იმერეთის, გურია-სამეგრელოს და აფხაზეთის ეპარქიებიდგან სემინარიაში სწავლობს 152 ყმაწვილი (300-დგან); 2, სემინარიის შესანახავად იხარჯება წელიწადში 52,000 მანათი (სახლს გარდა, რომელიც ქართლ-კახეთის სამღვდელოებისაა); 3, იმერეთის და გურია-სამეგრელოს ეპარქიები უგზავნიან სემინარიას წელიწადში 9,825 მანათს, თუ ცოტა მეტ-ნაკლებს, ე. ი. ერთს მეხუთედს მთელის წლიურ ხარჯისას. კრებამ დაადგინა განაჩენი თქმულის თანახმად.

შემდეგ და მეორე დღეს (20 თებერვალს) კრებამ განიხილა სანთლის ქარხნის საქმეები, რომლის დასათვალიერებლად კრებამ დანიშნა კომისია და ამ კომისიის წევრებად აარჩია: დეკანოზი კალისტოვი, მღვდელი ზუმბულიძე და მღვდელი ლევანოვი. სანამ ამ კომისიის ანგარიში არ მოუვიდა კრებას (21 თებერვალს საღამოთი), არა გაკეთდა-რა. კომისიის ხელ-და-ხელ დათვალიერებამ აღმოაჩინა, რომ მთელის სანთლის ქარხნის წარმოება ორის კაცის ხელშია; ამათში სიონის მთავარი ცარიკოვსკი 500 მანათს ჯამაგირს იღებს, ქარხანაში მუქთად სცხოვრობს, შეშა, სანთელი და მოსამსახურეც ქარხნისაა; მღვდელი პეტრიაშვილი-კი 1,000 მანათამდე იღებს წელიწადშიო.

ქარხნის საქმეები ძალიან ცუდად და უკანონოდ სწარმოებენო. კრებამ დაადგინა: დაბოლოებითი დადგენება შემდეგ მოხდეს, მაშინ, როცა კომისიამ გულდადებით დაათვალიეროს საქმეებიო. ჩემის აზრით-კი, სანთლის ქარხნის საქმეები, აწეწილია თუ არა, კრებას ახლავე უნდა გაეთავებინა. დასასრულ, მღვდელმა კარბელაშვილმა წარუდგინა სრული მოხსენება ქაღალდზედ—მეტად შესანიშნავ ტაძრების დასაცველად ხაზინამ აძლიოს ფული მომავალს კომიტეტს, ამისთანა ტაძრების განსაახლებლად დანიშნულსაო. 22 თებერვალს შუადღისას გათავდა კრება, რომელიც ძალიან გულ-ნაკლული დარჩა—თავ-მჯდომარე ფხიანი კაცი ვერ გამოგვადგაო.

ცხვილოელი

---

## სასამართლოს მატიანე

(დავით ახმადოვის საქმე)

ამას წინად ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია დავით ახმადოვის საქმე. ახმადოვს ის ბრალი ედებოდა, რომ ახალგაზდა, უმანკო ქალი წაეტყუებინა და გაეუპატიურებინა. აი რა გამოირკვა ამ საქმის შესახებ სასამართლოში.

წარსულს წელს, ერთს მშვენიერს მაისის დღეს, საღამო ხანზე, ახმადოვმა შენიშნა თურმე ალექსანდრეს ბაღში სხვა მოსიარულეთა შორის ერთი ყმაწვილი ქალი, რომელიც აქეთ-იქით დადიოდა და მიმოიხედებოდა, თითქო ეძებს ვისმეო. ეს ქალი სულ ახალგაზდა იყო, თოთხმეტ-თხუთმეტის წლისა. ბ-ნი ახმადოვი აეტორღიალა თურმე ქალსა და ჰკითხა:

— ვის ეძებ და ან რა მოხელე ხარო?

გამოუცდელმა ქალმა დაწვრილებით უამბო თავისი ამბავი, უამბო, რომ ღარიბი ვარ, მშობლებს შეძლება არა აქვთ სახლში შემინახონ და ალაგს ვეძებ სადმე, რომ მოსამსახურედ დავდგეო. დ. ახმადოვმა გულ-მხურვალე მონაწილეობა გამოაცხადა ქალის უბედურების გამო და სთხოვა: მე დამიდექ მოჯამაგირედ, აგერ რამდენი ხანია მე და ჩემი ცოლი ვეძებთ კარგს მოსამსახურე გოგოს, მაგრამ აქამდის ჩვენის გულისას ვერავის შევხვდითო. ქალს ძალიან გაჰხარებია, დ. ახმადოვს ჩაუსვამს ეტლში და გაუქანებია ფერმის სასტუმროსაკენ.

ახმადოვმა შეიყვანა სასტუმროს ერთს ოთახში ქალი და უთხრა: აქ მოიცადე პატარა ხანს; ჩემი ცოლი ჩემ შინ არ ყოფნის დროს ბაზარში წასულა სავაჭროდ და საცაა დაბრუნდებაო. ქალი ელოდდა და მალ-მალ კითხულობდა: ჩქარა მოვა ქალბატონი, თუ არაო? ახმადოვი სულ პატარა ხანს მოცდასა სთხოვდა. ამასობაში მოსამსახურემ სუფრა შემოიტანა და ვახშამი გაშალა. ახმადოვმა დაიყოლია ქალი და ვახშამი აჭამა. ქალი რამდენჯერმე წამოდგა თურმე და გარედ გასვლა მოიწადინა, მაგრამ ახმადოვი წინ ეღობებოდა, ეხვეწებოდა, რომ ჩემის ცოლის დაბრუნებამდე მოითმინეო.

კარგად რომ გადაჰკრა ახმადოვმა, აღარაფერს მიჰხედა და ძალ-დატანებით შეურაცხჰყო ბედკრული ქალი, არ შეიწყნარა არც ხვეწნა, არც მუდარა ყმაწვილის ქალისა. ჩაიდინა ეს ავაზაკური საქმე, გამოვიდა სასტუმროდგან და წავიდა. საწყალი ქალი მაშინვე მივიდა ცრემლიანი და ფერდაკარგული მშობლებთან და უამბო თავისი უბედური ამბავი. მშობლებმა პოლიციას შეატყობინეს ეს საქმე. პოლიცია დაფაცურდა, გამოიკითხა, გამოიწვრილა და მიაგნო კვალსა. დ. ახმადოვი დააპატიმრეს და ეს საქმე გამომძიებელს გარდაეცა.

ოლქის სასამართლომ დ. ახმადოვს ყოველივე ღირსება აჰყარა და სამუდამოდ ციმბირში გაგზავნა გარდაუწყვიტა. ბრალდებული ამ გარდაწყვეტილებას ოლქის სასამართლოსას არ დასთანხმდა და საქმე სამოსამართლო პალატაში გადაიტანა. 20 ამ თებერვალს სამოსამართლო პალატამ განიხილა კვლავ ეს საქმე და ოლქის სასამართლოს განაჩენი შეუცვლელად დაამტკიცა.

---

## ხმა პროვინციიდამ

ბევრის მოლოდინის შემდეგ ამ თებერვლის ხუთს ძლივს ვეღირსენით გორელები ქართულის წარმოდგენის ნახვას!. სცენის მოყვარულთ ითამაშეს მეტად საყურადღებო საქმის სასარგებლოდ ორი პიესა: «რაც გინახავს, ვეღარ ნახავ», ა. ცაგარელისა, და ჩვენის ძვირფასის პოეტის ვოდევილი „ბუტიაობა“. ბ-ნ ცაგარლის ზემოხსენებული პიესა, ვგონებ, ყოველ მკითხველს კარგად ეცოდინება. ამ უკანასკნელს ხანებში არც ერთი პიესა არ გავრცელებულა ჩვენს საზოგადოებაში ისე, როგორადაც ბ-ნ ცაგარელის «რაც გინახავს, ვეღარ ნახავ!» ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია; ქალაქები, თუ სოფლები; შინ, თუ გარეთ, — ყველანი თითქო ერთმანერთს ეჯიბრებიან ამ კომედიის წარმოდგენის საქმეში. მიზეზი ამისა, ეჭვი არ არის, ის უნდა იყვეს, რომ ამ თხზულებაში ავად თუ კარგად ჩვენის ხალხის ყოფა-ცხოვრებაა გამოხატული: ყოველ წამს გესმით ჩვენებური მოსწრებული სიტყვა-პასუხი, ჰხედავთ, მომეტებულ ნაწილად, იმათ, რომელნიც არა ერთხელ გინახავთ საკუთარის თვალით; რომელთა კვიმატი ლაპარაკი არა ერთხელ გაუგონია თქვენს ყურებს!.. დაუმატეთ ამას პიესის დედა-აზრიცა: გამარჯვება დაჩაგრულისა დამჩაგვრელზედ და მაშინ, ვგონებ, ცხადი იქნება ამის გავრცელების მიზეზი!. ამის გამო პიესის შინაარსის ვრცლად გარდმოცემას საჭიროდ აღარა ვრაცხთ და მხოლოდ ორიოდე სიტყვით მოვიხსენიებთ. ქალაქელ კინტოს დაუნიშნავს ერთი სოფლელი ქალი, რომლის წამოსაყვანად შეუყრია რამდენიმე «ძმა ბიჭები — შეითან-ბაზრის პრისტავ-პოლკოვნიკები» და მისულა საპატარძლოს ოჯახში. ამავე სოფელში სცხოვრობს თავადიშვილი დავითი, რომელსაც კინტოს საპატარძლო თავის სახლში შეუყვანია: როგორცა სჩანს, მოსწონს და მასთან ცხოვრება გარდაუწყვეტია. ნეფიაანი ითხოვენ სადედოფლოს, მაგრამ დავითისაგან ცივი უარი ესმით, რის გამოც კინტო ბიჭები დასცინიან და მუშტით და «ზაკონით» ემუქრებიან. დავითს უნდა, რომ ამათი კანონიერი მუქარა გააქარწყლოს და ამისათვის გარდასწყვეტავს გოგოზედ ჯვარის დაწერასა. საყდარში მიდის კიდეც, რომ ამ დროს შემოცვივიან კინტოები, დავითს დასცემენ ძირსა, საპატარძლოს მოიტაცებენ და გასწევენ თავიანთ გზაზედა...

როგორც თვით მკითხველიც ჰხედავს, საქმე თავდება ჩინებულად; ისე, როგორადაც სასურველია ყოველის პატიოსნის, გულ-მართალის ადამიანისათვის! დაჩაგრული ერევა მჩაგვრელსა, პატიოსნება სჯობნის უსინდისობას, სამართალი — უსამართლობას!.. ამაზედ მეტი რაღა გნებავთ, ჩემო ბატონო?! მაშ სიხარულის აღტაცებით უნდა აღივსოს ყოველი პატიოსანი მნახველი ამ პიესის წარმოდგენისა! — სწორედ!.. მაგრამ ეს აღტაცება, სამწუხაროდ, იმ დრომდე გატკბობთ, ვიდრე გულითა და გრძნობით გასცქერით წარმოდგენას და სულიერს, უჩინარს ასპარეზზედ ფიქრი და კრიტიკული აზრი არ გამოგიწვევიათ სამოქმედოთ.

ცოტაოდენის ფიქრის შემდეგ-კი აღტაცება ნელ-ნელა ცივდება და წეღანდელ სასიამოვნო გრძნობათა ადგილს მალე უსიამოვნო ფიქრები იჭერს!

ღმერთმა ინებოს, რომ ის დედა-აზრი, რომელიც ზემოდ აღვნიშნეთ, რაც შეიძლება მალე განხორციელებულიყოს კაცთა ცხოვრებაში!.. მაგრამ, როგორცა სჩანს, ამ სანეტარო დრომდის, საუბედუროდ, ჯერ კიდევ ბევრი ხანი გაივლის!.. მიჰხედეთ, ჩემო ბატონო, ერთის მხრივ განათლებულ კაცობრიობის აწინდელ მდგომარეობას და, მეორეს მხრივ, — თვით ჩვენის საკუთარის ყოფა-ცხოვრების დღევანდელს ვითარებას და მაშინ ეჭვი არ უნდა, ცხადი იქმნება თქვენთვის, თუ რაოდენი სხვა-და-სხვა ფერის გარემოებანი, უზარ-მაზარ მთა-ქედების მზგავსად, აჰყუდებიან წინ მოხსენებულს აზრს ძველადგან დღევანდლამდე. ამის გამო როგორადაც დაწინაურებულ კაცობრიობის, ისე ჩვენის საკუთარის ცხოვრების ყოველ მხარესა და ყოველს კუთხეში ვხედავთ იმისთანა გარემოებას, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება აღნიშნულს ზოგად აზრსა. ერთი ასეთი გარემოება სხვათა შორის დღევანდელი მდგომარეობა წოდებათა, სხვა-და-სხვაობა მათის ძალისა, შეძლებისა და მნიშვნელობისა! რასაკვირველია, ცხადია, რომ ჩვენის დროის თავადიშვილი, «კნიაზი» ის აღარ არის, რაც იყო; იგი «მას ვეღარ ჰნახავს, რაც უნახავს»!.. მაგრამ არც ისეა დაცემული, მიწასთან განადგურებული, რომ «უსტა ავეტიქებმა და გიქუა-ფიჩხულეებმა» წიხლით შედგომა გაუბედონ! ლომი, მართალია, სიბერისაგან წელში მოხრილა, მაგრამ ძველი, მამა-პაპური ბრჭყალები ჯერ სულ მთლად არ დასცვივნია; ნაცადი ძალ-ღონეც ჟამთა ვითარებას ჯერ სრულიად არ დაულევია იმისთვის; ამის გამო წიხლის-მცოდნე ვირი და გაიძვერა მელია ჯერ კიდევ შორიდამ შიშით უცქერიან და ახლო მისვლას მხოლოდ ლაქუცით და გაიძვერაობით აჰერხებენ. მაშასადამე, აღნიშნული დედა-აზრი პიესისა ჩვენს ეხლანდელს ცხოვრებას არ შეეფერება: იგი არ არის დამყარებული ამ ცხოვრებაზედ, რომლის ნამდვილი გარემოებანი სათავედ და საფუძვლად სრულიად ვერ გამოადგებიან!..

მაგრამ საქმე მხოლოდ ამაში როდი გახლავთ! ჩემის აზრით, მეორე პირი საგნისა უფრო მეტად საყურადღებოა. როდესაც მწერალი რაიმე პრინციპის, დედა-აზრის გამოთქმას და გამოხატვას შეუდგება, მან მოუფიქრებლად, უსწორ-მასწორად როდი უნდა ამოქმედოს თავისი აზრი და შემოქმედობის ნიჭი!.. საჭიროა გულის-ხმიერობით დააკვირდეს იმ ფერადებს, რომლებითაც ჰსურს დაჰხატოს გარეგანი სახე თავის აზრისა. დაჩაგრულის გამარჯვება დამჩაგვრელზედ ყველასათვის სასურველია, მაგრამ ჯერ საჭიროა ვიცოდეთ — ვინ არის დაჩაგრული და ვინ მჩაგვრელი და მტარვალი, ანუ უკეთ ვსთქვათ, ვინ არის მართალი და ვინ — მტყუანი.

სადაც ეს კარგად არ არის გარჩეული, იქ ხმაც არ ამოიღება იმაზედ, თუ ვინ არის დაჩაგრული და ვინ დამჩაგვრელი, და მწერალი ტყუილად

ეცდება გულ-მტკივნეულობა კაცისა ძალათი ან აქეთ მიჰხაროს, ან იქით. დავითიც ადამიანია და როგორც ადამიანი, სამართლიანად მოქცევასა მოხოულობს. ან იქნება ვისმე ჰგონია, რომ დავითი ღირსი არ იყოს გაფრთხილებისა? რომ იმას თავისი დრო და ჟამი სრულიად მოუჭამია?!

უსაფუძვლო, მავნებელი ფიქრია ამ გვარი ფიქრი! მართალია, ახალმა ჟამთა ვითარებამ სასტიკად შემოაკვეცა დავითს ფრთები, მაგრამ ფრთათა სიცოცხლე ერთი და იგივე რომ გახლავთ! ან-კი რა საჭიროა ადამიანისათვის ის ფრთები, რომელთაც კი მაღლა ჰაერში აჰყავთ და მაღლიან დედამიწას აშორებენ და ავიწყებინებენ?! ახალ გარემოებათ ნელნელა შეეჩვევა დავითიც, „ჩატეხილი ხიდი“, რომელიც ამ ათი-თხუთმეტის წლის წინად მართლა ჩატეხილი იყო და დღეს-კი, საბედნიეროდ ქვეყნისა, მტკიცით არის შეერთებული, სრულიად შესწორდება: «ოთარაანთ ქვრივი» და «კესო», „გიორგი“ და „არჩილი“ გულ-წრფელ მეგობრულად, თანასწორ ამხანაგურად ერთმანერთს ხელს გადაჰხვევენ და გაუშინდენ ეკლიანს გზას ბრწყინვალე კამავალსა!..

—

რაც შეეხება თვით წარმოდგენას, არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ეგი ვერ წავიდა სანაქებოდ. მიზეზი ამისა ის გარემოება გახლდათ, რომ სცენის-მოყვარეთ ნამდვილი, სრული კომპეტიცია, ვგონებ, ორჯლის მეტად ვერ მოახერხეს. იმედია, შემდეგისათვის ამ ნაკლულევანებას თავიდამ მოიშორებენ და ჩვენს პროვინციის საზოგადოებას უფრო მეტად დაუტკბობენ ესტეტიურ გრძნობას, ვიდრე ზემო მოხსენებულ წარმოდგენით... მაინც-კი არ შეიძლება სიამოვნებით არ მოიხსენიოს კაცმა დავ. და ვანო კაპანაძეები და სვ. გოგლიჩიძე, რომელთაც იმ დღეს გამოიჩინეს არა-მცირედი არტისტული ნიჭი, თუმცა პირველად იყვნენ სცენაზედ გამოსულნი. სწორედ მისალოცავია ჩვენი საპროვინციო თეატრი, რომ ამ გვარი ნიჭიერი მოთამაშენი აღმოუჩნდნენ! მაგრამ, რაღა კითხვა უნდა, რომ წარსულის წარმოდგენის დამამშვენებელი იქმნებოდა ჩვენი ნიჭიერი სცენის-მოყვარული, სოფ. მგალობლიშვილი!.. მართალია, თავის საკუთარს როლებს არ ასრულებდა იმ დღეს, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, რა ცხოველ-მყოფელი მადლია ნამდვილი ნიჭი!.. რასაც-კი იმისი წმინდა სხივი მიადგება, ყველგან და ყველაფერს თავის ნიშან-წყალს ადებს. ამიტომაც, როგორადაც დავითის როლში, ისე ეოდევილში, ს. მ—შვილი თითქმის უნაკლულოდ თამაშობდა.

გულითადის პატივისცემის და მადლობის ღირსნი არიან ქ-ნნი: ნინო მგალობლიშვილისა, ალექსანდრა ორჯონიკიძისა, ლიზა ჯავახაშვილისა, ნატ. ქელივიძისა და სხვანი იმ მონაწილეობისათვის, რომელიც წარსულს წარმოდგენაში მიიღეს. მართალია, ზოგიერთის თამაშობა საგანგებო და უნაკლულო არ იყო, მაგრამ ეს არაფერი!.. სცენაზედ ახლად, პირველად გამოვიდნენ და ამიტომ არავის უფლება არა აქვს იგინი გამოცდილ მოთამაშეთ შეადაროს და ამით ნაკლულევანება იმათის თამაშობისა გაახვიადოს.

ბოლოს ვინატრი, სულით და გულით ვინატრი, რომ გორელ განათლებულ ახალგაზდობის უმრავლესობას ერთმანერთ შორის იმ გვარივე მტკიცე ერთულობა დაემყარებინოს, როგორათაც მტკიცეა თვითეული მათგანის ერთგულება საზოგადო საქმეების მიმართ. თუ ეს ასე იქმნება, მაშინ თავიანთ უღონობას და არარაობას თვითვე ცხადად დაინახავენ ის ზოგიერთა ეაქბატონები, რომელთაც საქვეყნო მოღვაწეობის სურვილი სიზმრადაც არ მოსჩვენებიათ და ამის გამო ცხოვრების ყოველ მოვლენას წერიმალ, საპირადო ანგარიშებით უახლოვდებიან...

პროვინციის მათვალიერებელი

---

## სამეგრელოს ამბები

საახალწლოდ და ნაახალწლევს მოსულმა თოვლმა მარტო შუა იანვრამდის გასძლო. თხუთმეტ იანვრის შემდგომად გამოიდარა და ისეთ ნაირად დაჰკრა მზემ თავისი სხივები ძველს კოლხიდას, ჩვენს ეგრისს, რომ სულ დაგვავიწყა: ზამთარია ახლა, თუ ზაფხული. ამ სახით თითქმის მაისის მშვენიერის, ულრუბლო და მხურვალე მზიანის დღით ვსტკბებით ჯერ-ჯერობით ეგრისელები და ვნახოთ აწი რა იქნება. მაგრამ თუ დღისით სიცხეა თითქმის, სამაგიეროდ ღამ-ღამეობით ცივა გვარიანად და ჰყინავს; ეს არის ვგონებ მიზეზი, რომ ჩვენს სოფლებში ამ მშვენიერს ზამთარს ძრიელ გახშირებულია სხვა-და-სხვა ავადმყოფობა გაციებისა გამო. ხშირია, მაგალითად, ჭვალი, ფილტვის ანთება და სურდო-ხველა. ამ ნაირს ავადმყოფობას, საუბედუროდ, ხშირად მოსდევს სიკვდილი. იხოცებიან უფრო ახალგაზდები, რადგან არა ფრთხილობენ და დროს ატარებენ, ლხინობენ, თვრებიან სხვა-და-სხვა ალაგას ჩვენის ქვეყნის ერთად-ერთის მახარებელ «იზაბელას» ანუ «ოდესას» ვაზის ყურძნის წვენით, რომელიც დასტურ ძრიელ ბევრი მოვიდა წარსულს წელს და დაჩრდილა ჩვენებური, ძველადვე ქებული მაღლარი, ოჯალეში.

**

რადგან ღვინოზე ჩამოვარდა ლაპარაკი, არ შემიძლიან ორიოდე სიტყვა არა ვსთქვა სამეგრელოს უმთავრეს ჭირნახულს სიმინდზე. წარსულ წელს სიმინდის მოსავალი მთელს სამეგრელოში საზოგადოდ ნაკლები იყო, ვიდრე წინად. ზოგს ადგილას და ზოგიერთებს მეტად ბლომადაც მოუვიდა, მაგრამ უმეტეს ნაწილს-კი ნაკლები და დიდად ნაკლები მოსავალი ჰქონდა. ამ ნაირად ჩვენში თუმცა ნაკლებია წრეულს სიმინდის მოსავალი, მაგრამ მაინც წინანდელზე უფრო მეტად მიდის სიმინდი ჩვენის სოფლებიდამ დაბებში და იქიდამ ფოთში საზღვარ-გარედ გასატანად. აი ჩვენი სოფლები ასე ადრე იცლება სიმინდისაგან და არავინ არა ჰფიქრობს, თუ რა ეშველება იმათ, ვისაც ნაკლებ მოსავალი ჰქონდათ და უთუოდ დააკლდებათ სარჩო ივნის-ივლის-აგვისტოს თვეებში.

სამწუხაროა, რომ ასე ადრე ამდენი სიმინდი გააქვთ ჩვენის სოფლებიდამ ფულიანს კაცებს. ვინ იცის, იქნება იმიტომაც გააქვთ, რომ თავიანთ საწყობებსა და სარდაფებში შეინახონ იმ დრომდე, ვიდრე უფრო სარფა არ იქნება იმის გასყიდვა და გატანა საზღვარ-გარეთ. სამწუხაროა იმიტომ, რომ თვით ჩვენში უმეტესს ნაწილს აკლია სარჩო ეხლავე და ახალ მოსვლამდე ხომ დააკლდებათ და დააკლდებათ. მერე ისიც წრევანდელს წელს, როცა ბრიუსის კალენდარი ქვეყანას ნაკლებს მოსავალს უქადის!! ასეთი წინასწარ-მეტყველება კალენდრისა ხალხმა თავისებურად ახსნა: მარტმა ხორცი ჭამა და იმიტომაო, ამბობენ ხალხში, ესე იგი, მარტში არისო ხორციელი წრეულს და იმიტომ თუ იქნება ნაკლები მოსავალიო. ან-კი რა გასაკვირველია, რომ ასე ახსნა ხალხმა ეს გარემოება. განა ყველა თავისებურად არა ჰხსნის ხოლმე ყველაფერს!? აი თუნდა მაგალითად აშორდია, ეს «სიმართლეს გაშორდია». თუ-კი აშორდია ჩემობს სიბრძნესა, ხალხმა რაღა დააშავა? თუ კერძო შანჭრაქები ცრუ-მეტყველობენ და სრული ნებაცა აქვთ ცრუმეტყველობისა, ხალხი უფრო მეტი არ არის? ხალხი გროვაა, კრებაა ასისა და ათასის კაცისა.

**

რა გვიჭირს ეგრისელებს ღვთისა და ბატონის წყალობით! ახალი ხანა ისტორიისა ჩვენც დაგვიდგა და თვითცნობიერებისა და თვით-მოქმედების გზას ეს არის დავმდგარვართ: ჩვენც დაგვებადა ჩვენი კოპერნიკი—პესტალოცი; თუ პოლშელებს და გერმანელებს დაებადათ ისეთი კაცები, ჩვენთვის განა მეტი იქნება ოდესმე... მაგრამ ჩვენ, მგონი, იმათაც გადავაჭარბებთ. იმათ, სხვა-და-სხვა ერს ორი სხვა-და-სხვა გენიოსი აღმოუჩნდათ, ჩვენ-კი ერთად-ერთი ერი ვართ და ერთი გენიოსი დაგვებადა, მაგრამ ამ ერთშია ორივეს გენიოსობა შეკრებული და მოგროვილი.

გენიოსია, მაშ რა არის?! კაცი გაცხარებული იძახის:

**

სხვა რა მოგახსენოთ? სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ ვაი თუ რაცა ვსთქვი, ესეც მეტი იყოს და დარჩეს «ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა». მაინც რაც უნდა იყოს, რაღაც უცნაურმა ქინმა ამიტანა და არ შემიძლიან ერთი-ორი წვრილი ამბავი არ მოვიხსენიო საახალწლოსავით ჩვენის ეგრისის ცხოვრებიდამ.

ამბობენ, ვითომ ზუგდიდის მაზრაში შარშან სოფლებიდამ ფოსტის ფული და თუ სხვა სახელმწიფო გარდასახადი მოჰკრიფეს თებერვალ-მარტის თვეებში და ხაზინაში-კი შეიტანეს ივლის-აგვისტოსაო.

ამბობენ, რომ შარშან ისევ გახშირდა ქურდობა სამეგრელოშიო. სხვა-და-სხვა კუთხე-სოროებიდამ ისევ გამოძვრნენ ღამის რაინდები, მაშინ როდესაც წინად ხსენებაც-კი გასწყდა მათიო.

აი კიდევ რას ამბობენ: დაბა ახალსენაკიდამ მიმავალი გზა-ტკეცილი აღმოსავლეთისკენ ლეჩხუმსა და დაბა ხონს შარშან-წინიდგან წამხდარია ძრიელაო. უფრო ბოგირებია ჩამტვრეულიო. ნაქალაქევის (ძველი არხეოპოლისი) ნანგრევების ახლო სულ გაფუჭებულია ბოგირები. ტეხურის ხიდი ისეა წამხდარი, რომ არ შეუძლიან უშიშრად გაიდეს ცხენოსანს კაცს-კი არა, ქვეითსაც, არამც თუ ღამე, დღისითაც-კიო. რამდენი მაგალითი იყო, რომ კაციცა და პირუტყვიც დასახიჩრდა და დაიღუპა შარშან ძველ სენაკის იარმუკობის დროსაო. ამ გზის გასაკეთებლად შარშან ივნისში გაიყვანეს ხალხი, მაგრამ გააკეთეს გზა?—გზა დღესაც იმ მდგომარეობაშია, რა მდგომარეობაშიაც იყო ამ შეიდის თვეის წინადაო. სწორედ საშინელებაა ეხლა ამ გზაზე სიარული: ჩატეხილი ბოგირები, ჩაღრმავებული ყოველ ნაბიჯზე ტალახიანი კენჭო ქვები და სულ ოღრო-ჩოღრო. ღმერთმა დაიფაროს ყოველი კაცი ამ გზაზე სიარულისაგან, გინდა ცხენით და გინდა ფეხით, მერე ბინდის შემდეგ უფრო!

ახალი კოჩი

დაბა ახალ-სენაკი

---

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ ნება მიბოძოთ, თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა ვუძღვნა ბ-ნ ივანე კონსტანტინეს ძეს გეგიას, რომელმაც შემოსწირა ჩემდამი რწმუნებულს ოქუმის სკოლას შემდეგი ქართული წიგნები.

| | |
|---|---|
| «ალი», ნ. ლომაურისა | 2 |
| „ქაჯანა“, მისივე | 4 |
| „დედა მაია“, ს. მგალობლიშვილისა | 4 |
| გრიგოლ ორბელიანის ლექსები. | 1 |
| „ბესიკი“ | 3 |
| „პატარა მოამბე“ | 1 |
| „რობინზონ კრუზო“, ჯაჯანაშვილისა | 1 |
| „შოთა რუსთაველი“, ზ. მთაწმინდელისა | 1 |
| „ბედ-უკუღმართი ჯალაბობა“, მირიანაშვილისა | 4 |
| „მამულის საერთო მფლობელობაზედ“ ანტ. ფურცელაძისა | 1 |
| „ანატომია კაცისა“, ალ. ცხვედაძისა | 1 |

ოქუმის სკოლის მასწავლებელი ნიკო შენგელაია.

---

## უცხოეთი

**ინგლისი.** აქამდე სალისბერის სამინისტროს ნელ-ნელა აკლდებოდა მომხრენი დეპუტატთა შორის. ხან ერთი დაანებებდა თავს, ხან მეორე და ემხრობოდა გლადსტონის დასს. როცა რომელისამე დეპუტატის მაგიერ დაინიშნებოდა ახალი არჩევანი და ორი კანდიდატი გამოვიდოდა, ერთი, ვსთქვათ, სალისბერის მომხრე და მეორე გლადსტონისა, უოველთვის გლადსტონის მომხრე გაიმარჯვებდა ხოლმე. ამ დღეებშიაკი ვერ გაიმარჯვეს გლადსტონელებმა. საქმე ასე იყო: დონკასტერში არჩევდნენ დეპუტატს ერთის გარდაცვლილის მაგიერ. კანდიდატებში ერთი გლადსტონის მომხრე იყო და მეორე—სალისბერისა. ყველას ეგონა, რომ გლადსტონელების კანდიდატი, სპენსერ ბალფური, გაიმარჯვებსო, მაგრამ ასე არ მოხდა. გაიმარჯვა იმისმა მოპირისპირემ, ვიდაც ფიცილიამმა. ამ ამბავმა ძალიან გაახარა სალისბერელები: ახლა-კი ჩვენსკენ არის ბედიო, იფიქრეს. მაგრამ გლადსტონი, პარნელი და სხვანი მეთაურნი ლიბერალთა დასისა არა სწუხან და ჰფიქრობენ, რომ ეგ ერთი და ისიც კანტი გამარჯვება სალისბერელებისა შემთხვევისა და ფათერაკის საქმეა და ამიტომ დიდი თანხა არ არის ჩვენის მეტოქეებისათვისაო.

— ოქსფორდში ლორდ რანდოლფ ჩერჩილს სიტყვა წარმოუთქვამს და დასძენია სხვათა შორის ასე: არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ირლანდიამ გაიმარჯვოს ოდესმე და ცალკე პარლამენტი დაიწყოსო. მხოლოდ მაშინ, როცა ინგლისის ერი აღარ იქმნება და იმისი სიმდიდრე, იმისი მრეწველობა და ვაჭრობა გაჰქრება, როცა სიმტკიცე და მედგარი ხასიათები მისთა მეთა დაიმცეცდება და ისტორიას ჩაჰბარდება,—მხოლოდ მაშინ მიიღებს ირლანდია თავისთვის ცალკე პარლამენტსაო.

— მოგეხსენებათ, რომ ამას წინად გლადსტონელმა დეპუტატმა ლაბუშერმა ჰკითხა სამინისტროს, აგვიხსენით და გაგვაგებინეთ, რა მდგომარეობაშია ჩვენი და იტალიელების ურთიერთობა, ხელ-შეკრულობა ხომ არა დაუდვია-რა ჩვენს მთავრობასა და იტალიისასაო. ამ ბოლოს დროს ისეთი ხმები ისმის, რომ საჭიროა ყოველივე ეს ვიცოდეთო; საჭიროა საფრანგეთი ტყუილ-უბრალოდ არ გადავიკიდოთ და ჩვენს ქვეყანასაც რაიმე ვალდებულებით და ტვირთით ხელფეხი არ შევუკრათო. თუ გგონიათ, რომ თქვენსა და იტალიას შორის მოლაპარაკებას საყურადღებო მნიშვნელობა არა აქვს, ხომ ძნელი არ უნდა იყოს თქვენთვის გამოგვიძღვანოთ რა საქმეზეა ეგ თქვენი მოლაპარაკება; ხოლო თუ ძალიან საყურადღებო და დიდი მნიშვნელობა აქვს, მაშინაც მით უმეტეს მოვალეა მთავრობა გვაცოდინოს ჩვენც, რა მოლაპარაკება იყო თქვენ შორის, და ამით დაამშვიდოს ევროპაო.

ამაზე ხომ შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ფერგიუსონმა პასუხი მისცა ლაბუშერსა და სთქვა, რომ არავითარი ვალდებულება არა გვიტვირთნიარა იტალიის შესახებაო, შველასა და შემწეობას ფლოტითა თუ ჯარითა არ დავპირებივართო, და სხვანი და სხვანი.

შემდეგ გლადსტონს უთხოვნია სიტყვა და უთქვამს, რომ ჯერ ვიდრე არ გამორკვეულა, რა გვარი საქმენი მოელის ევროპასა და, მაშასადამე, არც ჩვენ ვიცით ჯერ, როგორ დაგვჭირდება ჩვენი ძალა თუ ღონე, ჯარი თუ ფლოტი, იმიტომ სჯობია დამოუკიდებლად, თავისუფლად ვიმოქმედოთ და ხელ-ფეხ შეკრულნი არ დავხვდეთ იმ საქმეებს, რომელიც მოელის ევროპასაო. ლაბუშერს მაინცა-და-მაინც ის არ უთქვამს, რომ მთავრობამ უსათუოდ გვაუწყოს და გვაცოდინოს ის, რაც იქნება მთავრობას საჭიროდ მიაჩნია დრომდე დაფარული იყოსო.

ბოლოს სიტყვა ითხოვა სმიტმა და სთქვა შემდეგი:

ნებას ვითხოვ განვუზიარო პალატას დიდი სიამოვნება იმ კილოს გამო, რა კილოთიც ილაპარაკა პატივსაცემმა ჯენტლმენმა (ვითომ გლადსტონმაო) და მშვიდობიანად დაასრულა კამათობა დიდისა და საყურადღებო საგნის შესახებ. მაგ კილოს ღირსი იყო კიდეც სწორედ ის დიდებული წარსულიცა, რომელიც აქვს ჩვენს პალატასა, და ის პასუხის-გებაცა, რომელსაც იტვირთებენ ხოლმე ისინი, ვისაც პატივცემულ ჯენტლმენსავით დიდი და ფრიად პასუხ-საგებელი მაღალი ადგილი სჭერიათ. ქვეყნის და უფრო კიდევ მეტად მთავრობის სახელითა მადლობას ვუცხადებ მე პატივცემულს ჯენტლმენს მის მიერ წარმოთქმულის სიტყვის კილოსა და ხასიათისათვის. მთავრობა ჰგრძნობს, რა დიდი მოვალეობაც აწევს. გულ-მოდგინედაცა სცდილობდა მშვიდობიანობის დასაცველად და ყოველ გვარ მოლაპარაკებასა და მიწერ-მოწერაში ამ აზრით ხელმძღვანელობდა და ამასთანავე არც ერთს წუთსაც არ დაუვიწყნია არც ინტერესები და არც ვალდებულებანი დიდის ბრიტანიის იმპერიისა.

სმიტის სიტყვის შემდეგ ლაბუშერმა თავის წინადადება უკან წაიღო.

---

## წვრილი ამბები

— ლონდონის გაზ. «Graphie»-ის რედაქციას თავის სადგომში გაუმართავს ყველა იმ მხატვართა სურათების გამოფენა, რომელთაც-კი შექსპირის პიესებში გამოყვანილი ქალები აქვთ დახატული.

— ამას წინად ლეიპციგში მისულა

ბაზელიდგან ერთი ყუთი შაქრის პურითა და სხვა ტკბილეულობით სავსე. ამ ყუთზე ეწვა აულიათ რაღაცა და შიგ უპოვნიათ ანარხისტთა გაზეთები «Freiheit»-ი, «Social Demokrat»-ი, და სხვანი.

— ბერლინის ანტროპოლოგიურს საზოგადოებაში კვედენფელდს გამოუცხადებია, რომ კანარის კუნძულებზე მცხოვრებნი სტვენით ელაპარაკებიან ერთმანერთსაო. უსტვენენ ტუჩებით, ენით, ზოგნი თითებსაცა ჰხმარობენ და ყველაფერს აგებინებენ ერთმანერთსაო. კვედენფელდს უთქვამს, რომ კუნძულები გამოქვაბულებით არის სავსე, მეზობლები ერთმანერთზე მალიან მოშორებითა სახლობენ და ამიტომაც გავრცელებულა, მგონი, ისე სტვენის შემწეობით ლაპარაკიო.

— პრინც ფერდინანდ კობურგელს უკვე ისტორიკოსიც უპოვნია და მიუნდვია, რომ დაწვრილებით აწეროს ჩემის მთავრობის ამბავი ბოლგარიაშიო. ეს ისტორიკოსი გახლავთ ფილოსოფიის დოქტორი, იოსებ ვეგენის მე რუსსელი, რედაქტორი ჟურნალის «Deutsche Wochenschrift»-ისა, რომელიც ამზადებს თურმე უშველებელს თხზულებას: «მეორე მთავარი ბოლგარიისა». ეს წიგნი ბერლინში უნდა დაიბეჭდოს.

— ბეკოშ-ჩაბაში (ვენგრიაშია) ამას წინად შემდეგი უბედური ამბავი მომხდარა. ერთს იჭაურს მემამულეს განუზრახავს, რომ როგორმე მოეშორებინა თავის ცხვრის ფარასათვის ნადირი, რომელიც სულ უნადგურებდა თურმე საქონელს. ამ აზრით მოუკვლევინებია ერთი ბატკანი, საწამლავით მოუშხამავს ეს ხორცი და იქვე ტყის პირას დაუგდია. მეორე დღეს ამ ადაგას გაუვლია ვიღაც გლეხ-კაცს, უნახავს მკვდარი ბატკანი და უფიქრნია — წავიღებ შინ, ერთორს დღეს გვეყოფაო. მიუტანია სახლში და მიუცია ცოლისათვის. ცოლს იმ ღამესვე ამ ხორცისა ვახშამი მოუმზადებია. მეორე დღეს ცოლ-ქმარი და ექვსი უმაწვილი დახოცილები უპოვნიათ.

— სოფელ გუტტაში (პრუსიაშია) სცხოვრობს თურმე ვიღაც ვაზნიარეკი, რომელიც ამ ჟამად ას ოცის წლისაა.

— მონრეალი, ბლონდო და ლემონიე სწერენ თურმე ამ ჟამად უშველებელს «Revue»-ს, რომელშიაც უკანასკნელს საუკუნეზე სჯა და ბაასი. ამ წიგნს ეწოდება სახელად «1789—1889, revue du siècle»-ი.

— ვესტფალიაში სამოსწავლო მთავრობას გამოუცხადებია ყველა საერო მასწავლებლებისათვის, რომ დღეიდგან მოსწავლეებთან ლაპარაკისა და მთავრობასთან მიწერ-მოწერაში უცხო ენებიდგან ამოღებულს სიტყვებს ნუღარ იხმარებთო, თუ იმათი სამაგიერო სიტყვები თვით ჩვენს ენაშიაც იპოვებაო.

<>

# დეპეშა

22 თებერვალი

**ირკუტსკი.** აქ მოვიდა ინჟინერი მეჟენინოვი და ანგარიში წარუდგინა გენერალ-გუბერნატორს რკინის გზის გაყვანის შესახებ ტომსკსა და აჩინსკის შუა; ამ ადგილებს კვლავ დაათვალიერებენ ზაფხულში ირკუტსკამდე. ტომსკში მოელიან ახალს ინჟინერებს.

**ლუგანსკი.** სლავიანო - სერბსკის მაზრაში, ლიუბიმოვის მამულში, სოფ. გეორგიევსკში აღმოაჩინეს გლაუბერის მარილის მადანი. გაზრახვა აქვთ, რომ ამ მარილის წარმოება დაიწყონ.

**პარიჟი.** პალატის უკანასკნელს დამატებით არჩევანებზე გენერალს ბულანჟეს ამოუვიდა 50,000 ხმაზე მეტი სხვადასხვა დეპარტამენტებში. ამომრჩევლებს აზრად ისა ჰქონდათ, რომ მთავრობისათვის წინაამდეგობა გაეწიათ და შეეშინებინათ. დემონსტრაცია ჯერ არ დაწყნარებულა. ბულანჟემ მისწერა სამხედრო მინისტრს წერილი და აცხადებს: მე ვსთხოვ ყველას, ვისაც ჩემი სიკეთე უნდა, რომ ამ არჩევანში მომხრეობას ნუ გამიწევენო.

23 თებერვალი

**პეტერბურგი.** წევრი ყაზახთა მხედრობის კომიტეტისა გენერალ-მაიორი ხოროშხინი ზაბაიკალის მხრის სამხედრო გუბერნატორად დანიშნულ იქმნა.

იმისათვის, რომ რკინის გზებმა შესძლონ გაძლიერებული მოქმედება ომების დროს, გამოცხადებულ იქმნა განსაკუთრებული წესები სათვლელად და გამოსაწვევად «ზაპასში» შერიცხულ მდაბიო ჯარის-კაცთა, რომელნიც რკინის გზებზე მოჯამაგირეობით ჰმსახურობენ.

პეტერბურგის ბირჟა 19 თებერვ.

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულნი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთმანათიანი ოქრო | 9 70 | — ,, | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | — ,, | — ,, | 195½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — ,, | — ,, | 1 40 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — ,, | — ,, | 257½ |
| — მეორისა | — ,, | — ,, | 248¾ |
| გირავნობ. ფურცელნი | | | |
| ტფილისის ბანკისა | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7396**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

თებერვალი 29 დღით არის

24 დღე ოთხშაბათი. პირველად და მეორედ პოვნა თავისა წმ. იოანე ნათლისმცემელისა. კათოლ. ნეცოფორისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-23 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა. —ჭეშმარიტი შუა-დღე 12—11. ტფილისში მზე ამოდის 6—23, ჩადის 6—0. მთვარე 25 დღისაა.

25 დღე ხუთშაბათი. წმ. ეპისკოპ. ტარასისა. კათოლ. ვიქტორისა. სომეხ. წმ. თეოდორე სტრატილატისა. მუსულ. მე-24 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა. – ჭეშმარიტი შუა-დღე 12—11. ტფილისში მზე ამოდის 6—22, ჩადის 6—1. მთვარე 26 დღისაა.

26 დღე პარასკევი. წმ. პორფირესი და სევასტიანისა. კათოლ. ფელიქსისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-25 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა. —ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1«. ტფილისში მზე ამოდის 6—20, ჩადის 6—2. მთვარე 27 დღისაა.

27 დღე შაბათი. გარდაცვალებულთა მოხსენების დღე. წმ. პროკოფისა. კათოლ. ფორრტუნატისა. სომეხ. კირილესი. მუსულ. მე-26 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა. —უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა წესდება ამიერ-კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა, 1850 წ. —ჭეშმარიტი შუა-დღე 12—10. ტფილისში მზე ამოდის 6—18, ჩადის 6—3. მთვარე 28 დღისაა.

28 დღე კვირა. ყველიერის დაწყება. ღირსისა ვასილისა, ნესტორისა და სხ. კათოლ. ლეონარდისა. სომეხ. ქორწინებათა ნება ეძლევათ. მუსულ. მე-27 რიცხვი თვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა. —ჭეშმარიტი შუა-დღე 12—10. ტფილისში მზე ამოდის 6—17, ჩადის 6—4. მთვარე 29 დღისაა.

29 დღე ორშაბათი. ყველიერის პირველი დღე. ღირს. იოანესი. კათოლ. სიგფრიდასი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-28 დღე თვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა. —ჭეშმარიტი შუა-დღე 12—10. ტფილისში მზე ამოდის 6—16, ჩადის 6—5.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 თებერვლიდამ 1 მარტამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | 3 | » |
| 2 » | 2½ | » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | » |
| » » 2— | 3½ | » |
| » » 3 » | 3 | » |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | » |
| 1-ლის ხარისხისა | 5 | » |
| მე-2 ხარისხისა | 4 | » |
| მე-3 — | » | » |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 9 | » |
| სუკი | 14 | » |
| მროხის ხორცი | 8 | » |
| » 2 » | 7 | » |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | 8 | » |
| » 2 » | 7 | » |


## განცხადებანი

კავკას. სამეურნეო საზოგადოების საბაღოსნო სკოლაში

(მუშტაიდის გვერდზე)

ისყიდება სხვა-და-სხვა ხეხილი და სადეკორაციო მცენარენი. ვისაც ჰსურს სია ანუ პრეისკურანტი გასასყიდის ხეხილისა, უსასყიდლოდ გაეგზავნება. (10—5)

დავიწყეთ გასყიდვა სრულიად უმიშარის

შვედურის საირკეებისა,

რომელიც ბევრად განკარგებულია და გაუმჯობესებული, თეთრი ალი აქვს და ფრიად იაფადაცა ღირს. ნარდად მყიდველთ ბევრი დაეთმობათ.

ქარხანა

გ. გ. ტერ-ასატუროვისა და კº. ვერაზე, ტფილისის ქალაქში. (50—28)

სომხების სასულიერო სემინარიის ნერსესიანის სამზრუნველო რჩევაში 1888 წელს 30 მარტს, საღამოს რვა საათზე, ვაჭრობით (განუმეორებლად) გაიცემა იჯარა წმინდა სანთლის გასყიდვისა სომხეთ ეკკლესიათა და მრევლთათვის. საჭირო ქაღალდების განხილვა და გასინჯვა შეიძლება ყოველ დღე, დილით 10 საათიდგან 12 საათამდე, გარდა კვირა-უქმისა. (3—3)


## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი | — | — | 8 | 49 | ბათუმი | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა | 9 | 55 | 10 | |
| კასპი | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი | 12 | 8 | 12 | 11 | სამტრედია | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი | 2 | — | 2 | 3 | ყვირილა | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი | 7 | 08 | 7 | 10 | გომი | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო | 8 | 5 | 8 | 7 | გორი | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი | 9 | 7 | 9 | 39 |
| ნატანები | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი | 11 | 13 | — | — | ტფილისი | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდან გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

## ტფილისსა და სურამ შუა

| | დღისით | | | | | ღამით | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი | — | — | 3 | 21 | სურამი | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა | 4 | 19 | 4 | 25 | გომი | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი | 5 | 24 | 5 | 29 | გორი | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი | 6 | 31 | 6 | 45 | კასპია | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთ | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი | 8 | 50 | — | — | ტფილისი | 8 | 24 | — | — |


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1888 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ. — კ. | 6 თვით | 6 მ. — კ. |
| 11 „ | 9 „ 50 » | 5 „ | 5 „ 25 » |
| 10 „ | 8 „ 75 » | 4 „ | 4 „ 75 » |
| 9 „ | 8 „ — » | 3 „ | 3 „ 50 » |
| 8 „ | 7 „ 25 » | 2 „ | 2 „ 75 » |
| 7 „ | 6 „ 50 » | 1 „ | 1 „ 50 » |

საზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება —17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარეთ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

*Тифлисъ. Въ редакцію газеты «ИВЕРІЯ».*

თუ ტფილისში დაკვეთილ გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.


Доз. цен. Тиф., 3 февраля 1888 г. Типографія А. А. Михельсона, Гол. Проспектъ въ д. Читахова. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე